ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 4
25/01/2019

4-04-4-201901251454

ელექტრონული პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე

2018 წლის 20 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში რეგისტრირებული იქნა ამომრჩეველთა მიერ ხელმოწერილი ელექტრონული პეტიცია, რომელიც შეეხებოდა „ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და მცირე სკვერის გაკეთებას“.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის 11-ე პუნქტისა და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 117-ე მუხლის 11-ე პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №01-07/21 ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით განცხადება (ელექტრონული პეტიცია) უფლებამოსილების შესაბამისად, გადაიგზავნა ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში (მერისთვის).

ელექტრონული პეტიცია განხილული იქნა მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ და შედეგების შესახებ ინფორმაცია (მერის პირველი მოადგილის 2019 წლის 23 იანვრის №03/18730 წერილი, შემოსული კორესპოდენციის საკრებულოს აპარატში რეგისტრაციის №12/04; 24/01/2019) მოწოდებული იქნა საკრებულოსათვის.

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი’’-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტისა და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის, შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული ელექტრონული პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
4. 4.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი №1

ანგარიში

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2018 წლის 28 დეკემბრის წერილით გადმოგზავნილი ელექტრონული პეტიციის - „ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და მცირე სკვერის გაკეთების თაობაზე“ განხილვის შესახებ

მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა მოქალქე დავით ანანიძის (მცხოვრები დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N13 ბინა 7) მიერ, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი ელექტრონული პეტიცია ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და მცირე სკვერის გაკეთების თაობაზე და მიიღო გადაწყვეტილება მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე დაიგეგმოს ელექტრონული პეტიციის შესასრულებლად შესაბამისი სამუშაოები, რისთვისაც 2019 წლის 17 იანვარს გამოცხადებული იქნა ტენდერი (NAT190000941) საჭირო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესყიდვის მიზნით. სატენდერო პროცედურის დასრულება მოხდება 2019 წლის 25 მაისამდე, რის შემდგომ გაფორმდება ხელშეკრულება გამარჯვებულ პრეტედენტთან და ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში მის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად გამოცხადებული იქნება ტენდერი დაგეგმილი სამუშაოების შესყიდვის მიზნით. სატენდერო პროცედურის დასრულებისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით 2019 წლის მეორე ნახევარში მოხდება სამუშაოების დასრულება და ზვარის თემის ცენტრში აშენებული იქნება ახალი მცირე სკვერი, რომლის შესყიდვა მოხდება ბიუჯეტში პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი ხარჯებიდან.